



# სამართალი

27 ივნისი, 2011 წელი, №67

## სტუმრად სასამართლოში



საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი ღონისძიება ჩაატარა და ამჯერად, 190-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. დანაშაულის პრევენციის მიზნით, კლასის მოსწავლეებს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ეკა არეშიძე ესაუბრა.

2

## დანაშაულის გამოსაჩივრის ზანსი და უცხოური პრაქტიკა



"სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეტული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით," - ნათქვამია ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ამ ნორმის დანერგვა თავის დროზე ქართული კანონმდებლობის ერთ-ერთ ჰუმანურ და ნოვაციურ სიახლედ მოაზრებოდა.

3

## კლასი უმსუბუქესი განაჩენის გადახედვის საფუძვლები



"ახლად აღმოჩენილი გარემოებების მიუხედავად, არ მოხდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვა," - ამ პრეტენზიას მოქალაქეები არცთუ ისე იშვიათად გამოთქვამენ. საქმე ისაა, რომ მომჩივნებმა არ იცინან, კონკრეტულად რა გარემოება ითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რომელიც განაჩენის გადახედვის საფუძველი შეიძლება გახდეს.

4

## ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოჩივი გამამართლებელი განაჩენი

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა - თვითნებურ ქმედებაში ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო. ზურაბ ბაღდაროვს ბრალი თანასოფელი ნანა ჯ-ის ოჯახიდან საყოფაცხოვრებო ნივთების თვითნებურად წაღებაში ედება, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების მასალების მიხედვით, ნანა ჯ-მ ბრალდებულის კუთვნილი სასურსათო მაღაზიიდან აღებული პროდუქტის ვალის - 114 ლარის გადახდა დაავიანა. სწორედ ამ ვალის ნაცვლად წაიღო ზურაბ ბაღდაროვმა ნანა ჯ-ის სახლიდან ტელევიზორი და დევეგნიტოფონი. შს სამმართველოში ოჯახის დიასახლისის ჩივილის შემდეგ ბაღდაროვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებსა და საქმის სხვა მასალებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ბრალდებულს თვითნებური ქმედება არ ჩაუდგინია. ნანა ჯ-ის მეუღლემ გურამ შ-მ სასამართლოზე დაადასტურა, რომ ბაღდაროვს მისი სახლიდან საყოფაცხოვრებო ნივთები ძალადობით არ წაუღია. ისინი შეთანხმებული იყვნენ, რომ ვალის გასტუმრების შემდეგ ნივთებს დაიბრუნებდნენ.

სასამართლომ ზურაბ ბაღ-



დაროვს ბრალდება მოუხსნა და იგი უდანაშაულოდ ცნო.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი თვის მანძილზე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მეექვსე გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

რამდენიმე კვირის წინ სასამართლომ გაამართლა იმედა სირბილაძე, რომელსაც ბრალად ედება ქურდობის მცდელობა. მანამდე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თვითნებობის ჩადენაში ბრალდებული დ. კ. სრუ-

ლად გაამართლა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მოქალაქე ნოდარ გიორგაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ ნოდარ გიორგაძე უდანაშაულოდ ცნო. სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი უდანაშაულოდ ცნო. რომელსაც ბრალად ედება ქურდობის მცდელობა. ასევე, უდანაშაულოდ ცნო წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექენაში ბრალდებული ნუგზარ ახალაია.

## თემიდა - საპროცესო ოლიმპიადის გამარჯვებულს

თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში გამართული სამართლებრივი ოლიმპიადის, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და კავკასიის სამართლის სკოლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებმა მიიღეს.

აღნიშნული ოლიმპიადის ოთხ ნაწილს მოიცავდა და ის კაზუსების ამოხსნის, სამართლებრივი კითხვების, სამართლებრივი შეცდომების კორექტირებისა და ფინალური ეტაპის - დებატებისაგან შედგებოდა.

სამართლებრივი ოლიმპიადის მსვლელობისას მონაწილეებს ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოებისა და სხვა



ანალოგიური მასალის გამოყენება მხოლოდ კაზუსების ამოხსნის ეტაპზე შეეძლო. ოლიმპიადის ობიექტურად მიმდინარეობის პროცესს, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციის მიერ შერჩეული დამკვირვებელი უწევდა მონიტორინგს.

სამართლებრივი ოლიმპიადის გამარჯვებულად კომპეტენტურმა ფიურიმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დაასახელა. მათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციის მიერ დაწესებული სამახსოვრო ჯილდო - მართლმსაჯულების

სიმბოლო, თემიდა გადაეცათ. საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი ღონისძიება ჩაატარა და ამჯერად, 190-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. დანაშაულის პრევენციის მიზნით, კლასის მოსწავლეებს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ეკა არეშიძე ესაუბრა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროს უფროსმა ალექსო ნულაძემ კი, პატარებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და სასამართლო სისტემაში მიმდინარე სხვა რეფორმები გააცნო. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩატარდა.

მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს სამახსოვროდ თბილისის საქალაქო სასამართლოს გზამკვლევი და სახელმძღვანელო "პავლე და სამართალი" გადაეცათ.

"საზოგადოებრივი სასა-

გაზრდის მმ-2 გმმრდჳმ

Vox Populi

პატიოსნები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად გთავაზობთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებსა და შეკითხვებს. ამჯერად, "სამართალი" პასუხებს გასცემს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან და პაციენტის უფლებებთან დაკავშირებით დასმულ სხვადასხვა შინაარსის შეკითხვას.

ჯიმშერ გრემელაშვილი, 35 წლის:

- აქვს თუ არა ძალა ისეთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელზეც დადგენილია, რომ ის უფლებამოსილების გადამეტებით არის გამოცემული?

- უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილია.

ლამზირა ციციშვილი, 45 წლის:

- აქვს თუ არა, ნებისმიერ მოქალაქეს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას? ვალდებულია თუ არა, საჯარო დაწესებულება, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, აქვს თუ არა პირს უფლება, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს?

- ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია, დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისთვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა. პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. პირს აქვს უფლება, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

ელზა ოგანეზოვა, 50 წლის:

- კონკრეტულად რომელი კანონი იცავს პაციენტის უფლებებს და კრძალავს თუ არა კანონი, პაციენტის დისკრიმინაციას რასის, ფერის, სქესის რწმენისა და აღმსარებლობის გამო?

- პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და პიროვნული ფასეულობების პატივისცემა. ამას «პაციენტის უფლებების შესახებ» კანონი ითვალისწინებს. ამავე კანონით, პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო, აკრძალულია.

ერეკლე შავგულიძე, 57 წლის:

- აქვს თუ არა პაციენტს უფლება, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც მას მიადგა მცდარი სამედიცინო ქმედებით?

- პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია მისი, როგორც პაციენტის უფლებების დარღვევით; მცდარი სამედიცინო ქმედებით; სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების სხვა ხარვეზებით; სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობითა და რეგულირებით. პაციენტს ასევე უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების მოთხოვნით და სახელმწიფო სამედიცინო და სანიტარული სტანდარტების შეცვლის მოთხოვნით.

თეილა - საპროტესტო ოლიგონის გაპარჯვებულს

პირველი გვერდიდან

მართლო" მსგავსი ტიპის შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან სისტემატურად ატარებს.

"საზოგადოებრივი სასამართლო გულისხმობს თბილისის საქალაქო სასამართლოს დაახლოებით საზოგადოების ფართო წრეებთან, მოქალაქეთა ჩართვას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, მათი პრობლემების გადაჭრას და რაც, ყველაზე მთავარია, დანაშაულის პრევენციაზე ზრუნვას. როგორც საქალაქო სასამართლოში აცხადებენ, საზოგადოებრივი სასამართლოს დახმარებით შესაძლებელია საზოგადოების სამართლებრივ ცნობიერებაში გარდატეხის შეტანა, მოქალაქეთა მართლმშენებლის ამაღლება, რაც საშუალებას მიცემს მათ გაცილებით ობიექტურად შეაფასონ სასამართლოში მიმდინარე პროცესები.

საზოგადოებრივი სასამართლო გაცილებით უფრო ხელმი-



საწვდომი იქნება მოქალაქეთათვის. შეიქმნება ყველა საშუალება, რომ სასამართლოში მი-

სულ მოქალაქეს, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა ჰყავდეს დამცველი ან წარმომადგენელი,

თავად შეძლოს თავისი დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლებების დაცვა.

საკასაციო სასამართლო "ხარკავას საქმე" დაუშვებლად ხმო

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაამთავრა მსჯავრდებულ ზვიად ხარკავას საკასაციო საჩივრის განხილვა და მიიღო გადაწყვეტილება, საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

საქმე ისაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 სექტემბრის განაჩენით, ზვიად ხარკავა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით და 3 წლის ვადით ჩამოერთვა სამენარმო საქმიანობის უფლება.

მსჯავრდებულის ადვოკატმა, ჯერ სააპელაციო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის უცვლელად დატოვების შემდეგ, საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში შეიტანა.

საკასაციო პალატა, სისხლის სამართლის საქმისა და საკასაციო საჩივრის შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ზვიად ხარკავას საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც, არ უნდა იქნას დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ფარგლებში მიმდინარე შეფასებითი ანგარიშის მომზადება-

დამტკიცებას შეეხებოდა, რომელიც ჯგუფის წევრებს კონკრეტული თანხის სანაცვლოდ უნდა მოეგვარებინათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ზვიად ხარკავას მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით და 3 წლის ვადით ჩამოერთვა სამენარმო საქმიანობის უფლება.

მსჯავრდებულის ადვოკატმა, ჯერ სააპელაციო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის უცვლელად დატოვების შემდეგ, საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში შეიტანა.

საკასაციო პალატა, სისხლის სამართლის საქმისა და საკასაციო საჩივრის შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ზვიად ხარკავას საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც, არ უნდა იქნას დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ფარგლებში მიმდინარე შეფასებითი ანგარიშის მომზადება-

ლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველზე ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება: თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სხენებულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვევა არც ერთი ზემოაღნიშნული საფუძველი.

უზენაეს სასამართლოში აღნიშნულ საქმეზე წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის შესწავლის დროს, მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის გან-

ხილვისას დაშვებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევები.

გარდა ამისა, უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა, ასახულია ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, როგორც სამართლებრივი, ასევე საპროცესო შეფასების თვალსაზრისით.

ამდენად, უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის განვითარებისა და სრულყოფისათვის, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო განაჩენი ნაკოპარბელის საქმეზე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა სააპელაციო საჩივრის განხილვა ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენზე საერთაშორისო ნარკოკარტელის წევრთა მიმართ.

საქმეზე პირველი მოსმენა 2011 წლის 2 მარტს შედგა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გადაწყვეტილება 12 სასამართლო სხდომის შემდეგ გამოიტანა. სააპელაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და სააპელაციო სა-

ჩივრების საფუძვლიანობა. როგორც სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დაადგინა, საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულების მიერ მათზე შერაცხული ქმედების ჩადენას.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში შემოტანისა და უკანონო ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექენა-შენახვა-ტა-

რებისათვის ნუგზარ ბოჭორიშვილს უვადაო თავისუფლების აღკვეთა, ანასტასია ზაუტაშვილს, გიორგი ჩეჩელაშვილსა და რომან მესუმინს კი 30-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ. ნარკოკარტელის კიდევ ერთ წევრს მეგლუდ სვანიძეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექენა-შენახვისა და ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვისათვის სასამართლომ 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სააპელაციო სასამართლომ შეცვალა პირველი ინს-

ტანციის სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ თემურ გავაშვილიშვილის მიმართ. სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა მისი სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა და გაითვალისწინა, რომ მსჯავრდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან. თემურ გავაშვილიშვილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნარკოტიკების საერთაშორისო ტრანზიტში მონაწილეობისთვის დადებული მსჯავრი დანაშაულის დაფარვაზე გადაუკვალიფიცირა და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# დანაშაულის გააოსილვის უნსი დ ზსსოური პრქტიკ

“სისხლისსამართლებრივი დენის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით,” - ნათქვამია ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ამ ნორმის დანერგვა თავის დროზე ქართული კანონმდებლობის ერთ-ერთ ჰუმანურ და ნოვაციურ სიახლედ მოაზრებოდა.

სწორედ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ამოქმედების მიზნით, უახლოეს პერიოდში პარლამენტი «საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში» ცვლილებების შეტანას გეგმავს, რომელსაც “განრიდების” მუხლი ემატება.

კანონპროექტის თანახმად, პროკურორს შეუძლია არ დაინიშნოს, ან შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა პირის მიმართ, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ განრიდების სუბიექტი შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე პირობას: უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; დანაშაულის იარაღის ან სამოქალაქო ბრუნვადი ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივ ანაზღაურება; სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის უსასყიდლოდ სამუშაოს შესრულება 4-დან 8 საათამდე.

“განრიდება” არ შეეხება იმ პირებს, რომლებსაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს - ადამიანი ვაჭრობის; არასრულწლოვანი ვაჭრობის; ადამიანის ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის; მოძულად ხელში ჩაგდება; ნაძვების; ნაძვების მუქარის; დამამცირებელი ან არადამაინური მოპყრობის, ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე.

იმ შემთხვევაში კი თუ განრიდების სუბიექტი არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს დაინიშნოს ან განაახლოს სისხლის სამართლებრივი დევნა. განრიდების შეთავაზება მოხდება წერილობითი ფორმით, სადაც მოცემულია განრიდების პირობები, მათი შესრულების დრო, ადგილი და საშუალება.

ასევე, განრიდების სუბიექტს წერილობით განემარტება, რომ განრიდების პირობების შესრულება არის ნებაყოფლობითი და იგი სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით.

განრიდების გადაწყვეტილების მიღებამდე, პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან. განრიდების გამოიყენება შესაძლებელია წინასასამართლოს სხდომის გამართვამდე; განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ,



## განრიდების უსსოური პრქტიკ

ანგლოსაქსური და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში პროკურატურის სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხორციელდება პროკურატურის უმთავრესი ფუნქცია და სისხლის სამართლებრივი დევნა - მიზანშეწონილობის თუ კანონიერების პრინციპით, ანუ პროკურორი სისხლის სამართლის დენის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მტკიცებულებების გარდა, თვალისწინებს თუ არა სხვა ფაქტორებსაც. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში - ინგლისი და უელსი, ირლანდია, აშშ, სადაც «მიზანშეწონილობის პრინციპს» უჭერენ მხარს, პროკურორებს სრული თავისუფლება ეძლევათ დენის განხორციელების სფეროში. მათ უფლება აქვთ საზოგადოებრივი ინტერესის ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვიტონ, საჭიროა თუ არა დენის დაწყება კონკრეტული საქმის მასალების საფუძველზე - ე.ი. ამ გადაწყვეტილების მიღება პროკურორის დისკრეციულ შეხედულებაზე დამოკიდებული. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კი, სადაც «კანონიერების პრინციპს» მისდევენ, სრულიად იგნორირებულია საზოგადოებრივი ინტერესის ფაქტორი და პროკურორი ვალდებულია დაინიშნოს სისხლის სამართლებრივი დევნა, თუ არსებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლევა პირის ბრალდებისათვის. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე საქმეს სასამართლოს გადასცემს.

თუმცა, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ამ ორ პრინციპს შორის მკაფიო კონტრასტის მიუხედავად, პრაქტიკაში მათ შორის განსხვავება თანდათან იშლება. კერძოდ, ბრიტანეთში, სადაც დისკრეცია ფაქტობრივად ტოტალურ ხასიათს ატარებს, დანაშაულთა უმეტესობაზე იწყება სისხლის სამართლის დევნა, ხოლო იქ, სადაც კანონიერების პრინციპის აღიარებენ, სულ უფრო ნაკლები სისხლის სამართლის საქმე შედის სასამართლოში. ექსპერტების გათვლით, დღესდღეობით ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლის, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვის, პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებისა და ამავე დროს, სასჯელის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ყველა დანაშაულის ფაქტზე დენის დაწყება კატეგორიულად სავალდებულო აღარ არის, უპირატესობა ენიჭება განრიდების სხვადასხვა ფორმებს, იზრდება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების არეალი, რაც მეტ-ნაკლები მასშტაბით კანონმდებლობებშიც აისახება. შედარებით ფართოა ეს უფლებამოსილებები ნიდერლანდებსა და საფრანგეთში, ხოლო ნაკლებია გერმანიასა და იტალიაში.

**ნიდერლანდებში** პროკურორს უფლება აქვს არ განახორციელოს სისხლის სამართლის დევნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოლიციის მიერ შეკრებილია საკმარისი მტკიცებულებები პირის ბრალდებულობის შესახებ, მაგრამ საქმე ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულს და დამნაშავემ აუნაზღაურა ზიანი დაზარალებულს. თუმცა, ნებისმიერ პირს, რომელიც უშუალოდ არის ჩართული ამ საქმეში, უფლება აქვს გააპროტესტოს დენის შეწყვეტა. თუ სააპელაციო სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს პროტესტს, პროკურატურისაგან მოითხოვს საქმის სასამართლო მოსმენაზე გატანას. პროკურორს უფლება აქვს ასევე საქმის სასამართლოში გადაგზავნის სანაცვლოდ დამნაშავეს საკუთარი დისკრეციული შეხედულების შესაბამისად დააკისროს ჯარიმა შედარებით მცირე დანაშაულის, მაგალითად, მალაზიამი ქურდობის, ქონებისათვის მცირე ზიანის მიყენებისათვის და ა.შ.. ჯარიმის გადახდის შედეგად მიღებული თანხა შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. პროკურატურა ჯარიმის ოდენობას ანესებს მაშინვე, როგორც კი მოხდება დამნაშავეს დაკავება, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს თანხის გადახდა და საქმე დაიხროს. ჯარიმის დაცვლად შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ან ამა თუ იმ ტრენინგის პროგრამაში ჩართვა. თუ ექვმიტანილი უარს იტყვის ჯარიმის გადახდაზე, საქმე გადაეცემა სასამართლოს. ნიდერლანდებში დამკვიდრებული პრაქტიკა ხელს უწყობს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის აღძრულ საქმის სწრაფ გადაწყვეტას და როგორც პროკურატურის, ასევე სასამართლო სისტემის განვითარებას.

**გერმანიაში** კანონის თანახმად, პროკურორს უფლება აქვს არ დაინიშნოს სისხლის სამართლის დევნა იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულს, რომლის მიმართ არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, ამასთან თუ ერთი და იმავე დამნაშავეს მიერ ჩადენილი დანაშაული ნაკლებად მნიშვნელოვანია და მისთვის დაწესებული სასჯელი უმნიშვნელოა. ამ შემთხვევებში საქმე უპირობოდ წყდება. სხვა შემთხვევებში ხდება პირობითი სასჯელის დაწესება, ზარალის ანაზღაურება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან მედიაციის დანიშვნა. ასეთ შემთხვევებში მოსამართლის თანხმობა აუცილებელია.

მძიმე დანაშაულებზე დენის შეწყვეტის უფლება აქვს ფედერალურ გენერალურ პროკურორს, განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, კერძოდ, თუ დენის დაწყება ან გაგრძელება საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ინტერესებს ან სხვა არსებითი საზოგადოებრივი ინტერესები გადართვის გამოძიების ინტერესებს; თუ დამნაშავემ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ხელი შეუწყო სახელმწიფოსათვის ზიანის თავიდან აცილებას და ა.შ. ასეთ შემთხვევებში მოსამართლის თანხმობა აუცილებელია.

რომელიც ერთხელ უკვე იყო პასუხისმგებელი მიცემული. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, მართლმსაჯულების სისტემაში პროკურატურისთვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, აუცილებელია, პროკურორისათვის გარკვეული ზომით დისკრეციის მინიჭება. და თუ ეს უფლება სწორად იქნება გამოყენებული, იგი ხელს შეუწყობს სამართლიანი

მართლმსაჯულების განხორციელებას. მით უმეტეს, რომ ქართული კანონმდებლობით, სასჯელის მიზანია, სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავეს რესოციალიზაცია და არამც და არამც ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება. იმ შემთხვევაში, თუ ქართულ პროკურორებს დისკრეცი-

ული უფლება მიენიჭებათ, პირისთვის პატიმრობის შეფარდების ნაცვლად, მათ არჩევანის გაკეთება შემოთჩამოთვლილი არასაპატიმრო სასჯელებიდან მოუწევთ. «დანაშაულის გამოსყიდვის» ეს პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია არსებობს და როგორც უცხოელი ექსპერტები ამტკიცებენ, შედეგად ნარმატიული უფლება მიენიჭებათ, პირისთვის პატიმრობის შეფარდების ნაცვლად, მათ არჩევანის გაკეთება შემოთჩამოთვლილი არასაპატიმრო სასჯელებიდან მოუწევთ. «დანაშაულის გამოსყიდვის» ეს პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია არსებობს და როგორც უცხოელი ექსპერტები ამტკიცებენ, შედეგად ნარმატიული

დავით გეგეშიძე, 50 წლის: - რა შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების მიზეზი? - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; ბათილად უნდა გამოცხადდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მისი შესრულება გამოიწვევს დანაშაულს; თუკი მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზის გამო; თუკი იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ეთერ მოისწრაფივილი, 44 წლის: - კანონი ითვალისწინებს თუ არა, სამედიცინო მომსახურების გამწვევისგან, დაცვას პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა? თუკი ამას კანონი ავალდებულებს სამედიცინო მომსახურების გამწვევს, მაშინ რა შემთხვევაში აქვს პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება? - სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცავას, როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ. სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ: მიიღებულია პაციენტის თანხმობა; თუკი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირს (რომლის ვინაობაც ცნობილია) სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით, პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შეუძლებელი იყოს პიროვნების იდენტიფიკაცია. კანონის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ სამედიცინო მომსახურებაში მონაწილე სხვა პირებისათვის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე პაციენტის თანხმობა ნაგულისხმევად შეიძლება ჩაითვალოს.

ლუიზა დევიდარიანი, 38 წლის: - დასაშვებია თუ არა, პაციენტის პირად ცხოვრებაში სამედიცინო მომსახურების გამწვევის ჩარევა? - პაციენტის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში სამედიცინო მომსახურების გამწვევის ჩარევა აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩარევა აუცილებელია პაციენტის დაავადების დიაგნოსტიკის, მისი მკურნალობისა და მოვლისათვის. ამ შემთხვევებში, პაციენტის თანხმობა აუცილებელი პირობაა. პაციენტის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში ჩარევა დასაშვებია ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი საფრთხე ექმნება პაციენტის ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

გიგა ჯგუბურია, 35 წლის: - აქვს თუ არა უფლება, სამედიცინო მომსახურების გამწვევს, არასრულწლოვან პაციენტს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია? - კანონით, არასრულწლოვან პაციენტს აქვს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. მინოდებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მის ასაკსა და გონებრივი განვითარების დონეს.

ეთერ გურასაშვილი, 50 წლის: - დასაშვებია თუ არა არასრულწლოვანი პაციენტის გამოყენება სწავლების ობიექტად? - 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტის გამოყენება სწავლების ობიექტად დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით. გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია პაციენტის მონაწილეობაც ასაკისა და გონებრივი განვითარების გათვალისწინებით. 16 წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვანი პაციენტის გამოყენება სწავლების ობიექტად დასაშვებია მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობით. პაციენტის გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს.

კანონმდებლობა

# კალაში უსული განაჩენის გადახედვის საფუძვლები

"ახლად აღმოჩენილი გარემოებების მიუხედავად, არ მოხდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვა," - ამ პრეტენზიის მოქალაქეები არცთუ ისე იშვიათად გამოთქვამენ. საქმე ისაა, რომ მომჩივანებმა არ იცინა, კონკრეტულად რა გარემოება ითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რომელიც განაჩენის გადახედვის საფუძველი შეიძლება გახდეს. სისხლის სამართლის საქმეებზე ახლად აღმოჩენილი გარემოებების მიზეზით განაჩენის გადასინჯვის წესებს კანონი განსაზღვრავს და ამ გარემოებების კრიტერიუმებსაც ადგენს.



იმისთვის, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო მოქალაქემ განაჩენის გადახედვა მოითხოვოს, აუცილებელია ეს გარემოებები აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც კანონი განსაზღვრავს. რაც მთავარია, საჩივრის შეტანას ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო ძალაში შესული განაჩენის გადახედვის მოთხოვნით, თავისი წესები აქვს.

ახლად აღმოჩენილი გარემოებას მიეკუთვნება შემთხვევა, როცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მონმის ჩვენება ან ექსპერტის დასკვნა, აგრეთვე, ყალბია სხვა მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო განაჩენს.

საქმეზე გამოტანილი განაჩენის გადახედვის მიზეზი შეიძლება გახდეს შემთხვევა, როცა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია მოსამართლის, გამოძიებლის ან პროკურორის დანაშაულებრივი ქმედება,

რომელიც მან ჩაიდინა ამა თუ იმ კონკრეტული საქმის განხილვის დროს.

გარდა ამისა, კანონში არის ნოვაცია, რომლის მიხედვითაც, ძალაში შესული განაჩენის გადახედვის საფუძველი შეიძლება გახდეს გარემოება, რომელიც ამა თუ იმ საქმის განხილვაში მონაწილე ნაფიცო მსაჯულის დანაშაულებრივ ქმედებას დაადასტურებს - მაგალითად, თუკი გაირკვევა, რომ ნაფიცმა მსაჯულმა ვერდიქტისთვის ხმის მიცემისას ქრთამი აიღო.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გადახედვის საფუძველი შეიძლება ასევე იყოს ისეთი ახალი გარემოება, რომელიც განაჩენის გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, მაგრამ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად, ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულ-

ზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ან იმ პირის ბრალულობას, რომლის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

განაჩენის გადახედვის მიზეზად ასევე შეიძლება ჩაითვალოს გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას, იმ მტკიცებულებების დაუშვებლობას, რომლებიც საფუძვლად დაედო განაჩენს.

ახლად აღმოჩენილი გარემოებას მიეკუთვნება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ამა თუ იმ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის

ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული რომელიმე კონკრეტული კანონი.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვის საფუძველი შეიძლება გახდეს ასევე ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა წერილობითი სახით უნდა შევიდეს სააპელაციო სასამართლოში.

ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის უფლება აქვთ მხარეებს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვლილის ნათესავს ან კანონიერ მემკვიდრეს.

## პასუხისმგებლობა ქონების გარიგებით გადაამალვისთვის

საჯარო მოხელე, რომელიც საზოგადოებრივ ადგილებში ხშირად ნასვამი იქნება, სამტატო იარაღის სამი წლით დათმობა მოუწევს. ამასთან დაკავშირებით ცვლილება "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შედის.

კანონპროექტით, თუ პირს საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისთვის ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის ადმინისტრაციული სახდელი უკვე ორჯერ დაელო, მესამე შემთხვევაზე სამსახურებრივ-სამტატო იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით ჩამოერთმევა.

იარაღის ჩამოერთმევასთან ერთად, პირს დააჯარიმებენ კიდევ და თუ მის მიმართ საჯარო მოხელის არასაკმარისად იქნა მიჩნეული, ოცდაათ დღე-ღამემდე ადმინისტრაციულ პატიმრობასაც მუსჯიან.

სამსახურებრივ-სამტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, პროკურატურის უფლებამოსილ მოხელეებს. ასევე, მოსამართლეებს; სასამართლოს მანდატურებს; გარემოს დაცვისა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს; ეროვნული ბანკისა და საბანკო დანესებულებების ინკასატორებსა და მოლარეებს - სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას; სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლებს - სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას; კონტროლის პალატის პრეზიდენტის წევრებს; სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს; ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანსა და წევრებს და იმ მთავარ საჯარო თანამდებობის პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფროსი და უმაღლესი სპეციალური ნოდებები ან უფროსი და უმაღლესი ოფიცრის სამხედრო ნოდებები.

კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილებით, პირს, რომელიც ქონებას მოჩვენებით ან თვალთმაქცურად გარიგებით გადაამალავს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება. აღნიშნულთან დაკავშირებით "სისხლის სამართლის კოდექსში" ახალი ნორმა შედის.

კანონპროექტის თანახმად, საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების პირის მიერ ქონების გადაამალვა მოჩვენებით ან თვალთმაქცურად გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ან უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებებისთვის თავის არიდების მიზნით, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ორიდან ოთხ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილ ნინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან შვიდ წლამდე; იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივ მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით, არაერთგზის, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე; იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებულ ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ათ წლამდე.

საკანონმდებლო ინიციატივაში აღნიშნულია, რომ დიდ დენობაზე ჩაითვლება თვალთმაქცურად გადაამალული ქონების ღირებულება, რომელიც აღემატება 10 000 ლარს.

# კანონი, როგორც ორგანიზებულ დანაშაულს ებრძვის

რას ნიშნავს კანონის ენაზე ორგანიზებული დანაშაული, რეკეტი, ქურდული სამყაროს წევრობა და ვინ ითვლება ქურდული სამყაროს წევრების ახლოობად, რომლებსაც, შესაძლოა, კანონის ძალით, სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ?



კანონით, რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთგვარადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახვი დანაშაულის ჩადენასთან. რეკეტულ დაჯგუფებად ითვლება თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება. რეკეტიორი არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან ან პირებთან ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წვევს რეკეტულ დაჯგუფებას ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავებს ან მონაწილეობს ასეთი დავების გადაწყვეტაში.

კანონის განმარტებით, ქურდული სამყარო არის პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ

მიერ დადგენილი და აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დამნიებით, მუქარით, იძულებით, ღუმულის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისკენ ნაქეზებით მისი წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღება. ქურდული სამყაროს წევრია ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. რაც შეეხება ქურდულ გარჩევას. კანონის განმარტებით, ეს არის ქურდული სამყაროს წევრის მიერ

ორ ან ორზე მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დამინება ან სხვა უკანონო ქმედება.

კანონიერი ქურდი - ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.

რეკეტიორის ან ქურდული სამყაროს წევრის ოჯახის წევრი არის მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე რეკეტიორთან ან ქურდული სამყაროს წევრთან მუდმივად მცხოვრები პირი. რეკეტიორის ან ქურდული სამყაროს

წევრის ახლო ნათესავი არის პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და, ძმა, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერები, მეუღლისა და, ძმა და მშობელი.

რეკეტიორთან ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირი არის პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ იგი მიღებულია რეკეტის ან ქურდული სამყაროს წევრის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად და ამ ქონებით სარგებლობს რეკეტიორი ან ქურდული სამყაროს წევრი.

რეკეტული ქონება არის რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შექმნილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტიორის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

რეკეტული და ქურდული სამყაროს წევრის ქონება ექვემდებარება ჩამორთმევას. რეკეტული და ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევის და სახელმწიფოსათვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

### საბამომცემლო ჯგუფი:

მარიამ ბერიშვილი  
ხათუნა ბარათაშვილი  
თამარ გურული  
ტელ: 899 97 72 12  
899 43 74 03.

ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com